

საარჩევნო ბლოკი
„ჩვენები-სახალხო პარტია“

წ ე ს დ ე ბ ა

თბილისი

2016 წელი

საარჩევნო ბლოკი

„ჩვენები-სახალხო პარტია“

წესდება

1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. საარჩევნო ბლოკის სახელწოდებაა „ჩვენები-სახალხო პარტია“, რომელიც წარმოადგენს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა ერთობას. ბლოკი აღიარებს დემოკრატიულ იდეალებს და გამოხატავს მოქალაქეთა ინტერესებს, დაფუძნებულია სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოების, ზნეობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებზე.
- 1.2. საარჩევნო ბლოკის მისამართია: თბილისი, ორთაჭალის ქ. 4.

მუხლი 2. საარჩევნო ბლოკის მიზნები

- 2.1 საარჩევნო ბლოკის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმართველობის ორგანოების მუშაობაში მონაწილეობით და კონსტიტუციური ინსტიტუტების განმტკიცების გზით, კანონით დადგენილი წესით:
 - განახორციელოს ისეთი ინიციატივები და აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოში სხვადასხვა პერიოდის შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად დაპირისპირებული მხარეების შერიგებისაკენ, ერთობლივი მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და შრომითი საქმიანობისაკენ.
 - მხარი დაუჭიროს და დახმარება გაუწიოს ეროვნულ უმცირესობათა სათვისტომოებსა და დიასპორებს, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს მათი ჩართულობა საქართველოს აღმშენებლობის საქმეში;
 - თავისი აქტივობით ხელი შეუწყოს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის დეკლარირებას
 - უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებები, თავისუფლებები და უსაფრთხოება
 - დახმარება გაუწიოს შრომის ვეტერანთა, შეზღუდული შესაძლებლობის ქონე პირთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახებს;
 - ხელი შეუწყოს განათლების სისტემის მდგომარეობის სრულყოფას, აგრეთვე მოსახლეობის სოციალური და საპენსიო საკითხების გაუმჯობესებას.
 - უზრუნველყოს დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება, განმტკიცება და საზოგადოებრივი აზრის ფორმირება
 - უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონსტიტუციური მთლიანობის აღდგენა, იზრუნოს მის შენარჩუნებაზე, ხელი შეუწყოს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა თავისუფალ განვითარებას და შეიმუშაოს საქართველოს უსაფრთხოების კონცეპტუალური პრინციპები.

მუხლი 3. საარჩევნო ბლოკში შემავალი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები

- 3.1 პ/გ დემოკრატიული განახლება-ჩვენი საქართველო გაბრწყინდება(ჩვენები)
- 3.2: პ/გ სახალხო პარტია

მუხლი 4. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანო, ხელმძღვანელი პირები და მათი უფლებამოსილებები

4.1. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანო/გამგეობა

- 4.1.1. გამგეობა შედგება ბლოკში გაერთიანებული მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ წარდგენილი 3 წევრისაგან, საიდანაც 3/გ დემოკრატიული განახლება-ჩვენი საქართველო გაბრწყინდება(ჩვენები) წარადგენს 2 წევრს, 3/გ სახალხო პარტია 1 წევრს.
- 4.1.2. გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, ნიშნავს და ათავისუფლებს გამგეობის თავმჯდომარეს და აღმასრულებელ მდივანს.
- 4.1.3. გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს ბლოკში ახალი პარტიის მიღების, ბლოკიდან პარტიის გასვლისა და გარიცხვის, ბლოკის მიერ საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის გაუქმების წესების თაობაზე.
- ა) ბლოკში ახალი პარტიის მიღებაზე გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ბლოკიდან გასვლა, პარტიას შეუძლია ხელმძღვანელი პირის განცხადების საფუძველზე. ბლოკის წევრის პარტია ბლოკიდან გარიცხულად ჩაითვლება, თუ კი გარიცხვას მხარს დაუჭირეს გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.
- ბ) გამგეობის წევრს უფლება აქვს წარადგინოს გამგეობაზე დასამტკიცებლად წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატი, ან მოითხოვოს კანდიდატის წარდგენის გაუქმება. წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატს გამგეობა ამტკიცებს ან აუქმებს ხმათა უმრავლესობით.
- 4.1.4. ბლოკის თავმჯდომარის წარდგინებით გამგეობა ამტკიცებს ბლოკის სტრუქტურას, ნიშნავს და ათავისუფლებს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს.
- ა) გამგეობა ისმენს საარჩევნო ბლოკის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების, საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანოებში არჩეული წარმომადგენლების და სხვა ორგანიზაციების ანგარიშებს.
- ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს საარჩევნო ბლოკის სამოქმედო გეგმას, წინასაარჩევნო და სტრატეგიული მნიშვნელობის პოლიტიკური კურსის განსაზღვრულ დოკუმენტებს.
- 4.1.5 ბლოკის თავმჯდომარე იმავდროულად არის ბლოკის ხელმძღვანელი ორგანოს, გამგეობის თავმჯდომარე

4.2. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელ პირი/ ბლოკის თავმჯდომარე

- 4.2.1. საარჩევნო ბლოკის თავმჯდომარეა 3/გ დემოკრატიული განახლება-ჩვენი საქართველო გაბრწყინდებას (ჩვენები) თავმჯდომარე.
- 4.2.2. თავმჯდომარე იწვევს ამზადებს და ხელმძღვანელობს საარჩევნო ბლოკის გამგეობის სხდომებს.
- 4.2.3. წარმოადგენს საარჩევნო ბლოკს მესამე პირებთან ურთიერთობაში, წარმოადგენს საარჩევნო ბლოკის ზოგად წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.
- ა) უფლებამოსილია ბლოკის სახელით ხელი მოაწეროს ბლოკის დოკუმენტაციას. გამგეობას წარუდგენს დასამტკიცებლად ბლოკის აღმასრულებელ მდივნის კანდიდატურას. ცალკეულ შემთხვევაში გამგეობის წევრთაგან ნიშნავს სპეციალურ წარმომადგენლობაზე

უფლებამოსილ პირს და კომპეტენციის ფარგლებში განუსაზღვრავს მისი უფლებამოსილების ფარგლებს.

- ბ) აკეთებს განცხადებებს საარჩევნო ბლოკის სახელით;
- გ) გამოსცემს ბრძანებებს, განკარგულებებს
- დ) ხელს აწერს საარჩევნო ბლოკის გამგეობის გადაწყვეტილებებსა და განცხადებებს.
- ე) ასრულებს წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4.2.4. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირის არყოფნის ან ფუნქციათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს დროებით ასრულებს საარჩევნო ბლოკის აღმასრულებელი მდივანი

4.3 საარჩევნო ბლოკის აღმასრულებელი მდივანი უშუალოდ ახორციელებს ბლოკის სტრუქტურული ქვედანაყოფების მართვას. გამგეობას წარუდგენს ბლოკის საარჩევნო პროგრამას და წინასაარჩევნო უზრუნველყოფის ღონისძიებებს. თავმჯდომარესთან შეთანხმებით გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა კანდიდატურებს. კოორდინაციას უწევს საარჩევნო ბლოკის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების და სხვა თანამდებობის პირების საქმიანობას. თავმჯდომარესთან შეთანხმებით გამგეობას წარუდგენს ბლოკის ფინანსებზე პასუხისმგებელი პარტიისა და ბუღალტრის კანდიდატურას. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში დროებით ასრულებს ბლოკის წარმომადგენლობის ფუნქციას.

მუხლი 5. საარჩევნო ბლოკის სტრუქტურა

5.1 საარჩევნო ბლოკის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს. მის მიერ დადგენილი წესით ქმნის და აუქმებს გამგეობა

5.2. საარჩევნო ბლოკში შეიძლება შეიქმნას რაიონული, საქალაქო, რეგიონული და ახალგაზრდული ორგანიზაცია და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები. სტრუქტურული ქვედანაყოფების შიდა ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება, რომელსაც ამტკიცებს საარჩევნო ბლოკის გამგეობა.

5.3. საარჩევნო ბლოკის სტრუქტურული ქვედანაყოფი ვალდებულია თავისი საქმიანობა წარმართოს საარჩევნო ბლოკის გამგეობა.

ქ.4 საარჩევნო ბლოკის სტრუქტურული ქვედანაყოფი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს.

მუხლი 6. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელობა

6.1. საარჩევნო ბლოკის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლება აქვს საარჩევნო ბლოკის თავმჯდომარეს.

6.2. საარჩევნო დოკუმენტების და სხვა საბუთების დასამოწმებლად გამოიყენება საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიის „დემოკრატიული განახლება-ჩვენი საქართველო გაბრწყინდება (ჩვენები)“ ბეჭედი.

მუხლი 7. საარჩევნო ბლოკის ფინანსები, საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე პასუხისმგებელი პირისა და ბუღალტრის დანიშვნისა და გათავისუფლების წესი

- 7.1 საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნაზე ან გათავისუფლებაზე გადაწყვეტილებას იღებს ბლოკის გამგეობა
- 7.2 საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე პასუხისმგებელი პირის კანდიდატს, გამგეობაზე დასამტკიცებლად ან გათავისუფლების მიზნით წარადგენს ბლოკის აღმასრულებელი მდივანი თავმჯდომარესთან შეთანხმებით.
- 7.3 საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე პასუხისმგებელი პირის წარდგინებით ბუღალტერს ნიშნავს და ათავისუფლებს ბლოკის თავმჯდომარე.
- 7.4 საარჩევნო ბლოკის ფინანსური წყაროებია: საწევრო შენატანები, ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავლები.

მუხლი 8. საარჩევნო ბლოკში შემავალი გაერთიანებების ხელმძღვანელი პირები

- 8.1. პ/გ დემოკრატიული განახლება-ჩვენი საქართველო გაბრწყინდება (ჩვენები) - ნინო სამადალაშვილი
- 8.2. პ/გ სახალხო პარტია - ივანე (მამუკა) გიორგაძე

მუხლი 9. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

- 9.1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი განისაზღვრება გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამ წესდების და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე
- 9.2. წესდებაში დამატებები და ცვლილებები შეიტანება გამგეობაში შემავალ წევრთა ინიციატივით, გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტის გადაწყვეტილების საფუძველზე

მუხლი 10. საარჩევნო ბლოკის წევრები

ნინო სამადალაშვილი

პოლიტიკური გაერთიანება
„დემოკრატიული განახლება-
ჩვენი საქართველო გაბრწყინდება“
თავმჯდომარე

